№ 151
ივლისის 18, ხუთშაბათი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 151
ივლისის 18, ხუთშაბათი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „ივერია“
რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე,
გადადის საკუთრებად „ივერიის“ ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში მყოფი

საბუხგალტერო კურსები
ნ. ვ. აბრაამიანისა

(იხილე მე-4 გვერდზედ) (25—379—4)

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1902—1903 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხგალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით**. 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა **და წერა-გაკრული და ხნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ოგრიდონოვისა, № 9, სერგიევისა დ ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. პ. მანუელიანცს**, ტფილისს. (24—361—9)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.
(წლ.)

ვექილი
ა. მ. ახნაზაროვი
გადავიდა

ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ე. საგინაშვილის სახლში № 21, ბ-ნ მ. გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით, „ივერია“-სეულს სადგომში.

ნახვა შეიძლება დილის 8—10 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე კვირა დღეობით, მარტო დილით 9—12, საათამდე.

საღამოს 7—9 საათამდე, კვირა დღეობით: მარტო დილით 9—12 საათამდე.
(10—8)

გორში
ექიმი ქ. ლ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს საკუთარს სახლში, ფრანგების ეკკლესიის ახლო.

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებსი ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

ქართველ ქალთა
ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა. № 12

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ზ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე, კვირაობით 9—10 საათზე.

ა. ზ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ზრ. ვ. სოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

ზ. ზ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

ტფილისი

◆ ჩვენ გვიამბეს, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტაციისათვის, რომელიც იყო რუსეთში ასის წლის იუბილეის გამო, პეტერბურგის თავად-აზნაურობას მიურთმევია საჩუქრად ვერცხლის ქვაბი, ორას თუმნად ღირებული, ერთი ოქროსი და ექვსი ვერცხლის მოკლე-ტარიანი აზარ-ფეშა. მოსკოვის თავად-აზნაურობამ მიართვა ჩვენს დეპუტაციას ოქროს ქვაბი, სევადით ნაკეთები, მშვენიერის და ხელოვნებით ნახარატევ ძვირფას ხის ხონჩაზედ, რომლის შუა-გულ ამობურცვით გაკეთებულია მოსკოვის გუბერნიის გერბი ოქროსი, მშვენივრად მოსევადებული.

◆ ჩვენ შევიტყეთ, რომ ბოჰორმის გადასწვრივ გომბორის მთის კალთებზედ, ხოდაშნის თავში, გერმანელ კაპიტალისტებს აუღიათ 60 წლით იჯარით ნავთიანი ადგილები ბაგრატ წერეთლისაგან. გამოცდილს მთამადნის ინჟენერს, ცეილონის კუნძულზედ ნამყოფს, გამოუკვლევია ეს ადგილები და ნავთი ბლომად აღმოუჩენია. ახლა თურმე მუშაობა გაცხარებით სწარმოებს. 400-მდე მუშაკაცი მუშაობს. ორი საბურაო ორმოა გაკეთებული. მამულის პატრონს უნდა ეძლიოს წელიწადში 2500 მან. და შემდეგ 1% გაყიდულ ნავთის შემოსავლისა.

◆ შევიტყეთ, რომ ახმეტას ახლო, ჩოლოყაშვილების მამულში, აღმოჩენილა ნავთი და იქაც მუშაობის დაწყებას აპირებენ.

◆ ჩვენ ვნახეთ მშვენივრად დამწიფებული ყურძენი, რომელიც ნიმუშად ჩამოიტანა ქალაქში საქარის სანერგის მებაღემ ბ-ნმა ჩივაძემ. 30 ფუთის მოტანას ექვს-ექვს მანათობაზედ გაჰრიგებია სურამელ ვაჭრებს. ყურძენი საზღვარ-გარეთის ჯიშისაა, სახელდობრ, მადლენის ჯიშისა, საოცარი თხელი კანი აქვს და პირში დნება. თან მეტად ტკბილი და გემრიელიც არის.

◆ ქალაქი მოელის წმინდა მოგებას იმ 207 სულ სხვილ-ფეხ საქონლისაგან, რომელიც ამას წინად შეიძინა 3984 მან. 75 კ., სულზედ 19 მან. 25 კ. დაახლოვებით. კიდევ გადაუდვიათ 4000 მან. 247 სულ საქონლის სასყიდლად.

◆ ბ-ნი ექვ. თაყაიშვილი გუშინ ბორჯომის მატარებლით გაემგზავრა ახალციხესა და ახალქალაქის მაზრაში საარხეოლოგო გამოკვლევათათვის. ბ-ნს თაყაიშვილს თან ფოტოგრაფიც მიჰყავს შესანიშნავ ძეგლთა და სიძველეთა სურათების გადასაღებად.

◆ როგორც მკითხველებმა უწყიან, კვირას, 22 ივლისს, ს. კასპში დანიშნულია საქველ-მოქმედო წარმოდგენა; წარმოდგენილი იქნება გუნიას მიერ გადმოკეთებული სამმოქმედებიანი პიესა „პირველი ბუზი“, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი; ბ.ბ. გუნია, შათირიშვილი, ივანიძე, ყალაბეგიშვილი და სხვ. იმედია, ამ წარმოდგენის კეთილ აზრს საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს და თავის დასწრებით დახმარებას აღმოუჩენს.

◆ როგორც ქალაქის გამგეობის I აღმასრულებელ განყოფილების უწყებათაგან სჩანს, პირველ იანვრიდგან პირველ ივლისამდე ამ განყოფილებაში მისულა 2852 ქაღალდი. მათ შორის 2816 საყურადღებო ქაღალდი ყოფილა. პირველ იანვრიდგან პირველ ივლისამდე აღსრულებულა 3111 საქმე. პირველ მკათათვისათვის დარჩენილა 36 აუსრულებელი საქმე. პირველ იანვრამდის 1902 წლისათვის გარდაუწყვეტი საქმე დარჩა 53. პირველ იანვრიდგან პირველ მკათათვემდე აღიძრა 169 საქმე; პირველ მკათათვისთვის დარჩა 162 გადაუწყვეტელი საქმე.

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს კავკასიაში სამინისტრომ გამოუგზავნა 5,000 მან. ოძისის მამულის და სკოლის მოსაწყობად.

◆ მიწათ-მოქმედების კავკასიის სამმართველოს სამუშაოთა უფროსს მწარმოებელს მ. ვ. მაჩაბელს დაევალა ტფილისის გუბერნიის სახაზინო გლეხთა ყოფა-ცხოვრების მოწყობა.

◆ ქალაქის გამგეობას შეუმუშავებია წესრიგი, როგორ უნდა მოხდეს საბჭოს ხმოსნების არჩევანი. არჩევანები მოხდება 26 სექტემბერს. ამომრჩეველთა სიებს გამოაქვეყნებენ 21 აგვისტოს. გამგეობამ უნდა შეადგინოს კანდიდატთა საერთო სია. ამ აზრით 21 აგვისტოდგან 6 სექტემბრამდე იგი მიიღებს ამომრჩეველთაგან განცხადებებს და სიებს კანდიდატებისას. ასე შედგენილ სიას გამგეობა გამოაცხადებს ადგილობრივ გაზეთებში. კანდიდატებმა წინ-და-წინვე უნდა აცნობონ გამგეობას, თანახმანი არიან, თუ არა კენჭის ყრისა. ვინც არ აცნობებს, სიიდგან იქმნება გამორიცხული.

◆ 15 ივლისს „დვორცოვი ნომრებ“-ში თავისს ოთახში მკვდარი ნახეს ამიერ-კავკასიის რკინის გზების ნაწილის უფროსი ინჟენერი ა. ლ. ფონ-ტრომპეტერი.

◆ ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ, „კავკ.“-ის სიტყვით, შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე მდინარე ჰოროხზე გამართულ ხიდების შეკეთების შესახებ.

◆ ტფილისის საბოტანიკო ბაღში დაწესებულ შტატების თანახმად, დირექტორს დაენიშნა ჯამაგირი წლიურად 3,000 მან., ბოტანიკს—2,000 მან., მებაღე-სპეციალისტს—1,200 მან., კონსერვატორს (თანამდებობაა) 1,000 მან. ხარჯი უნდა გაისტუმრონ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისთვის გადაწყვეტილ თანხიდგან.

◆ ქალაქის გამგეობაში ჩამოვარდა ლაპარაკი, რომ შეადგინონ და გამოსცენ ყველა საყურადღებო საქალაქო დადგენილებანი, რაც-კი ყოფილა ქალაქის საბჭოსაგან დადგენილი ქალაქის დებულების შემოღებიდგან. ამის შედგენა გამგეობამ უნდა მიანდოს ქალაქის მდივანს ბ-ნს ჰრელაშვილს. ამ საქმისათვის გადადებულია 1,000 მან.

◆ ბორჩალოს მაზრიდგან გვატყობინებენ, რომ იალღუჯის საძოვრებზე ოთხმა შეიარაღებულმა ყაჩაღმა შეაჩერა ხუთი ფურგუნი და გაძარცვაო. („ცნ. ფურ.“)

◆ 15 ამ თვეს ვარანცოვის ძეგლის ახლო აფიშების გასაკრავ სვეტთან იპოვნა მოქალაქე დარაჯმა მიგდებული ყმაწვილი, შობიდგან ერთის წლისა; ბავშვს არავითარი ბარათი არ აღმოაჩნდა.

◆ 14 ამ თვეს ტფილისის ვაგზლის კასსირი მივიდა პოლიციის მე-10 განყოფილებაში და გამოაცხადა: 10 ამ თვეს ვილაც ხრომატამ ყალბის მოწმობებით მიიღო 340 მანეთის ბარგი და არ ვიცი, სად გაჰქრაო; რამდენისამე დღის შემდეგ პოლიციის მოხელემ სავანელმა შეიპყრო ბ-ნი ხრომატა, და აღმოჩნდა, რომ იგი პოლტავის გუბერნიის მცხოვრებია და რამდენჯერმე ყოფილა შემჩნეული ავკაცობაში.

შეცდომის გასწორება:

ჩვენის გაზეთის № 149 ფელეტონში, მესამე გვერდზე, მეოთხე სვეტის მეორე სტრიქონში, ზემოდან, დაბეჭდილია: „თავად-აზნაურობას-კი ხელიდგან გამოაცალა...“ უნდა იყოს: „თავად-აზნაურობას-კი ხელიდგან გამოაცალა შრომის იარაღი—გლეხი.“ მე-2 გვერ., მე-2 სვეტ., მე-3 სტრიქ., ზემოდან, დაბეჭდილია: „არც ჩვეულებრივია;“ უნდა იყოს: „არც ჩვენებურია“.

ჩვენებური ამბები

დ. ცხინვალი (ნახევარ დაბის გადაწვა): 15 ივლისს, ურიების უბანში, ნაშუადღევის პირველ საათზედ გაჩნდა ცეცხლი. ასტყდა შესაზარი ხმაურობა და ყვირილი. თუმცა მთელი ცხინვალის მცხოვრებნი შემოხვეოდნენ ჩასაქრობად, მაგრამ რას გააწყობდნენ, როდესაც ცეცხლის გაძლიერებას უწყობდა ხელს ჯერ თავდაპირველად ქარი და მერე მოხელეთა უხერხული ქცევა. თუმცა მალე მოვიდა ბოქაული, მაგრამ მან თვისნი მოხელენი გაგზავნა ახლო-მახლო სოფლებში ხალხის მოსაშველებლად და სწორედ ისე მოუვიდა, ანდაზა რომ ამბობს: „სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძრესო“. სანამ სოფლიდგან ხალხი მოეშველა, ცეცხლი თან და თან გაძლიერდა მზისგან გაფიცხებულ ყავრებზედ და გადაიწვა სამას შენობამდე. მცხოვრებლებს მოუვიდათ დიდი ზარალი აგრეთვე მით, რომ ცეცხლ-წაკიდებულ სახლიდგან გამოჰქონდათ ავეჯეულობა და რადგანაც ყარაულის დაყენებაზედ არავის ეზრუნა, უპატრონო ნივთებს ეშმაკები ეპატრონებოდნენ; ასტყდა ტაციაობა და, რაც ცეცხლმა დააკლო საცოდავებს, ის მტაცებელმა ხალხმა შეუსრულა.

ცეცხლისაგან დაზარალებულ ხალხის სეირს პირ-დაღებულ შოშიის ბარტყებივით იდგნენ და შესცქეროდნენ ექიმი და „ფერშლები“. მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფთა ქსენონში ჩაჰყავდათ დამწვარი ხალხი, ისინი იქიდგან ფეხსაც არ იცვლიდნენ. თუ მივიდოდა ვინმე და სთხოვდა წამობრძანდით საავადმყოფოშიო, მაშინვე ხელს მოავლებდნენ ან ყავარს ან რამე ნივთს და პასუხად ეუბნებოდნენ, მე აქ ვშველი და სხვა მკურნალი წაიყვანეო. დარბოდა გაჰირვებული ხალხი, მაგრამ ვინ იყო მათი გულის შემატკივარი! ერთი ასე უწამლოდ გარდაიცვალა ორის საათის შემდეგ საავადმყოფოში და დანარჩენიც ისე უყურადღებოდ ეწყვნენ კარგა ხანს.

დიაღ, სწორედ საკვირველია აქაურ ექიმების ასეთი საქციელი: თვითონ სეირს უცქეროდნენ და საცოდავ ხალხს-კი ტანი უსკდებოდა, ცეცხლისაგან დამწვარს. რაც გინდა ქვის გულის პატრონები ყოფილიყვნენ, ზნეობრივ მაინც უნდა დატანჯულიყვნენ, რომ თავიანთ მოვალეობას თავს არიდებდნენ და მომაკვდავ ხალხს ყურს არ უგდებდნენ.

გადაიწვა აგრეთვე რამდენიმე კომლი ქართველობაც. დიდის მადლობის ღირსია ცხინვალის ქართველ-სომხობა და განსაკუთრებით იაგორა ხმიადაშვილი, რომელიც თავ-განწირვით ეომებოდა გაძლიერებულ სტიქიონს და რამდენიმე სულიც გადაარჩინა დაწვას.

ზარალი დიდია, თუმცა დანამდვილებით ჯერ არ გამორკვეულა. ამბობენ, რომ მილიონ ნახევრამდის იქნება ზარალიო. იმავ დღეს ეს ამბავი ბოქაულმა აცნობა ტფილისის გუბერნატორს, რომელიც მობრძანდა და დაათვალიერა გადამწვარი შენობანი. სცენის მოყვარულთ აქვე სთხოვეს, რომ ნება დაგვრთეთ საცეკვაო საღამოებისა და წარმოდგენების გამართვისა ამ ულუკმოდ და ცის ქვეშ დარჩენილ ხალხის სასარგებლოდაო. გუბერნატორმა მოიწონა ეს აზრი და ნება დართო. დიდად სასურველი იქნება, რომ საქართველოს სხვა კუთხეებიდგანაც მისცენ ცეცხლისაგან დაზარალებულ ხალხს შემწეობა და გაუწიონ დახმარება.

დამსწრე.

ნიგოითი. კვირას, 14 ივლისს, დილის 6-ს საათზე მთელი ნიგოითის საზოგადოება შეიკრიბა კანცელარიაში. აქ ბრძანდებოდა ბ. ქუთაისის გუბერნატორი, ჟანდარმთა პოლკოვნიკი და მაზრის მოხელენი. გუბერნატორი და მისი მხლებლები წაბრძანდნენ 7 საათზე. მიზეზი მოსვლისა და საზოგადოების შეკრებისა ის იყო, რომ სოფლები დრამას არ იხდიან, მემამულეებს „საბალახო ფულებზე უარს ეუბნებიან და სხვა.

—

ს. ხიდისთავი (გურია). აგერ მეშვიდე წელიწადია, რაც სოფ. ხიდისთავში ბიბლიოთეკა-სამკითხველო დაარსდა და სწორედ უნდა მოგახსენოთ, არც ერთს დაბა-სოფელს ამდენი მკითხველი საზოგადოება არ ჰყოლია ჩვენში, გარდა ს. ლანჩხუთისა. ეს მეორე მაგალითი იყო მთელს გურიაში სამკითხველოს დაარსებისა (პირველად აკეთის ბიბლ.-სამკითხველო დაარსდა) და აქაური საზოგადოებაც გულმხურვალედ მოეკიდა ამ ჩინებულს დაწესებულებას: მკითხველთა რიცხვი დღითი-დღე ემატებოდა და ბიბლიოთეკაც თანდათან იზრდებოდა. ასეთს განვითარების გზას ადგა წრევანდლამდე ჩვენი საიმედო სამკითხველო, მაგრამ ამ ზაფხულზედ ერთმა უმნიშვნელო გარემოებამ თითქმის სრულებით ჩამოაშორა მკითხველი საზოგადოება. წინად, არამც თუ კაცები, მანდილოსანნიც თამამად დაიარებოდნენ სამკითხველოში, კითხულობდნენ ჟურნალ-გაზეთობას, წიგნებსა და შინაც ხშირად მიჰქონდათ საკითხავად. ამ ზაფხულ-კი არც ერთს ქალს სამკითხველოში ფეხი აღარ შეუდგამს, ჩაეწერნენ ბ-ნ პანტელეიმონ ქანიშვილის საცეკვაო სკოლის მოწაფეებად და სწავლობენ „პა-დე-კატრს", „მინიონს", „პოლონეზ-პანპადურსა" და სხ.-და-სხ. მოცეკვავეთა უმეტესობას ვაჭრის ქალები შეადგენ, რომელნიც თავმომწონედ გაიძახიან, განა ევროპიული ცეკვა-თამაში არ ავითარებს ადამიანსაო? ჩვენც ვეთანხმებით, რომ ავითარებს, მაგრამ თავს-კი არა...

დასასრულ, ვუსურვებ აქაურს ქალებს ისევ გონივრულს გზას დასდგომოდნენ და დროებით უაზრო ცეკვა-თამაშით გატაცება უარეყოთ.

მქირდავი.

—

გორი. გორში, ქართველთ კათოლიკეთა პატრს დონ-გაბრიელ ასლანიშვილს შეუძენია მშვენივრად ნაკეთ-ნაკერი ქართველ მეფეთ ბაგრატიონების გვარის გვირგვინი, ანუ გერბი. გერბი ნაკერ-ნაკეთებია დიდის ოსტატობით და სიგძე-სიგანე ექმნება ერთი საჟენი.

გერბი ნაკერია მშვენიერ ნოხის ნაჭერზედ ფერადის წამლებით და ყოველი ნივთი მკაფიოდ არის ნაქსოვ-მოქარგული, მაგალითებრ, კვართი, დავითის ქნარი, შურდული და სხვ. ეს ძვირფასად ნაკეთ-ნაკერ-მოქარგულობა გაუკეთებიათ ქართველ-კათოლიკეთა მონაზონ ქალებს, რომელთაც საფრანგეთშიაც დაუყვიათ ხანი. ამ მონაზნებს მშვენივრად სცოდნიათ ქართული კერვა, ქარგვა და ქსოვა.

ამ ძვირფას და თან მეტად იშვიათ ნაკერის ხილვით კაცი ცხადად რწმუნდება მასზედ, რომ მესხელ ქართველ მანდილოსანთა შორის დღემდისაც არ მოსპობილა ის დიადი ხელ-საქმის ცოდნა, რომლითაც შემკობილი და შემოსილი იყვნენ ძველი ქართველი ქალები. დღეს, ამ იშვიათ ნაკერის მკეთებელი ქართველ კათოლიკეთა მონაზნები ტფილისში სცხოვრობენ და, იმედია, რომ ამათ საყურადღებო ხელსაქმეს მრავალ ქართველ ქალნი მიაქცევენ ყურადღებას და მსგავსად ძველის ქართველის დედებისა ამ იშვიათ სანახავობის ხელოვნებით ნაკეთობის ოსტატობასაც შეასწავლიან. იმედია, რომ ამ პატივცემულ მონაზნებს და მათ ხელ-საქმეს ჯეროვანი პატივისმცემელნი აღმოუჩნდებიან.

—

გორის ახალ მეწიგნეთ მ. არჩუაძეს და მაისურაძეს ქართლში შემდეგ სოფლების დღესასწაულებში დააქვსთ ქართული წიგნები და ჰყიდიან, მაგალითებრ: მცხეთას,—(სვეტი ცხოვლობას) ატენს (ბარბაროზას,) გორს (გორიჯვრობას), მეჯვრისხევს (უსანეთობას), გორისთავს (ლომისობას), ხიდისთავს (ახალ ჯვრობას), ქარელს (სარკის წმიდა გიორგობას), ახალქალაქს (კავთობას), ქარელისკენ (ივანე მახარებლობას), რუისს (ფერისცვალებას), საღოლაშენს (მარიამობას), ცხრა-მუხას (ივანობას), ტეძერს (ელიაობას და ღვთის მშობლობას), სურამს (ამაღლებას), იტრიას (მარიამობას), ძირულას (წეობას), კასპს (თევდორობას), ოსიაურს (ზღუდრობას) და სხვანიც. მეტად საქებია ასეთი მხნეობა და წიგნებით სიარული ქართლის სხვა-და-სხვა სოფლებში. ღმერთმა ქმნას, რომ ამ მეწიგნეთა მხნეობას ფართო მომავალი მისცემოდეს და ქართლის მკვიდრთა შორის ქართული წიგნების კითხვამაც ისევე აიდგას ფეხი, როგორც ეს იმერეთს მოხდა ყოველ კუთხეს.

—

ერთა-წმინდა (გორის მაზრა). ერთა-წმინდა მდებარეობს სოფ. ახალ-ქალაქის ზევით და ამავე სოფლის საზოგადოებას ეწერება, თუმცა-კი მამასახლისი საზოგადოებისა მუდამ ერთა-წმინდელია. ათი-თხუთმეტის წლის წინად ერთა-წმინდა ცალკე სამამასახლისოს შეადგენდა; აქაურნი მცხოვრებნი, სულ ას კომლამდე არიან ქართველები. თვით სოფლის მდებარეობა მეტად თვალ-საჩინოა: მაღლობი ადგილი, რომელიც დაჰყურებს მრავალ სხვა სოფლებსა და მინდვრებს, თვალ-გადაუწვდენელს საამილახვროს, ეგრედ წოდებულს აშურიაანთ მინდორს, საცა მიიკლაკნება რკინის გზა და ზლაზნით მიხუვის მტკვარი; ჩრდილოეთის მხრივ მოჩანს თეთრად დათოვლილი კავკასიონის ქედი; მყინვარსა და იალბუზის მთებს პირ-და-პირ შესცქერის. კაცის ენით გამოუთქმელია ამ სოფლიდამ მზის ამოსვლის ნახვა. ერთი ზღვაზედ მინახავს მზის ჩასვლის სურათი და გაოცებივარ და მეორეც აქ, ამ სურათის ნახვას მოუყვანივარ აღტაცებაში და ბევრჯელ მითქვამს ღვთისა და განგების დიდება.

სოფელს წინ მინდორი უძევს, უკან, ეგრედ-წოდებული, სატალო-სათარხნოს ტყე; შიგ შუაგულ სოფელში აგებულია (მე-VIII საუკ.) ნათალის ქვით ეკკლესია წმინდის ესტატესი. მდინარე არ არის, მხოლოდ მიდამო მოირწყვის მრავალგან ამოხეთქილ წყაროს წყლებით.

აქაური მიწა საკმაოდ გამოფიტულია, მაგრამ მცხოვრებნი მაინც ხვნა-თესვას მისდევენ. ყველა გლეხ-კაცს, რაც უნდა ღარიბი იყოს, მაინც მოეპოვება ერთი კვალი ვენახი და ერთი დღის მიწა. ვენახები დაბლობში აქვთ, თეძმის ხეობაზედ, ახალქალაქის მიჯნიდგან ჭყოპიანთ კარამდის, საცა სცხოვრობენ გაქართველებული ბერძნები. ვაზი თვით სოფელში არ ხარობს და თუ სადმე ხარობს, ყურძენი არ მწიფდება, რადგანაც აქ საკმარი სიცხე არ იცის და ადრეც აგრილდება ხოლმე.

ვიდრე სოფლელებს ტყეში შესვლის ნება ჰქონდათ და ტყეც გაიკაფებოდა, ხე-ტყის გამოტანა დიდს შემწეობას აძლევდა: უღელი ხარის პატრონი ზამთრობით ერთ ტივს მაინც გამოიტანდა, გაზაფხულზედ ქალაქში ჩაჰქონდა; ხის გარდა შეშა-ფიჩხიც გამოჰქონდათ გასასყიდად და ყველა ამაებში სოფლელები „სალბაშს" უხდიდნენ ტყის პატრონს. ეხლაც ეზიდებიან ხეს: მხოლოდ დამ-დგომით მიდიან შორს, ისიც ვისაც კარგი ხარ-კამეჩი ჰყავს. ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ ამ სოფლისთანა მუშა საქონელი ამ მხარეში არ გამოვა და „ვისაც კარგი ხარი ჰყავს, იმას სიმდიდრეც უქადისო", ასე ამბობენ ერთა-წმინდელები.

ერთა-წმინდელების განსაკუთრებით თვისებას მამულის სიყვარული შეადგენს, მამულის შეძენას იგინი მუდამ ნატრობენ. ამ ათი-თხუთმეტის წლის წინად ერთა-წმინდის მიდამოში ბევრი მოიპოვებოდა საბატონო მამულები, რომლებსაც გლეხები სადალოთ ხმარობდნენ; ეხლა დაბეჯითებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სოფლის მინდორში 15—20 დღისა აღარ მოიპოვება საბატონო, მიწა მთლად გლეხობამ შეისყიდა, თუმცა ეს მამულის შეძენა იაფად არ დასჯდომიათ.

თქვენი გაზეთის ერთ №-ში ნათქვამი იყო: ზოგი მებატონე გადაუგდებდა ხოლმე წყალს ხრამშიო, რათა არავის ესარგებლნაო. მე ესეც-კი ვიცი, რომ გლეხ-კაცს ერთ ნაკადულ წყლის დენაში მხოლოდ ერთის დამის განმავლობაში გადაუხდია 3—8 მანეთი.

ამ ათი წლის წინად ერთა-წმინდელები დიდ საგონებელში იყვნენ ჩავარდნილნი, რადგან ერთად-ერთი საამხრო და გამოსადეგი მამული ბატონისა ხელიდამ ეცლებოდათ; მამულის პატრონი არ აძლევდა ტყეში შესვლის ნებას და საქონლის ძოვებისას. თვით სარწყავი წყლებიც-კი ამ მამულიდგან გამოსდიოდათ. ერთაწმინდელებმა დიდი თათბირის შემდეგ გარდასწყვიტეს ეს მამული შეეძინათ და ბოლო მოეღოთ საჭირ-ვარამო საქმისთვის. ბევრმა ხარი, ძროხა და ღვინოც-კი გაყიდა, რომ ამ საქმისთვის არ ეღალატნა. ეხლა ისტორიაში ნაქები ცხირეთი, თავის ხეობით და სახნავ-სათესით, ტყით და ერთა-წმინდის მიდამოს მასაზრდოებელის უსტარაულის წყლით, სოფლის კუთვნილებას შეადგენს.

ამ სოფლის მცხოვრებლები განა მარტო ამ ჭირს უძლებენ! დასავლეთით სოფელს უძევს საამხრო საძოვარი და სახნავი მამული მაღალაშვილებისა, ეგრედ წოდებული დევ-ნამუხლი. ერთა-წმინდელები ამაშიც წელიწადში 400 მან. იხდიან.

აღმოსავლეთით სოფლისავე მიდამოში უხერხულად ჩაჩხირულია მაღალაანთ მამული; თუმცა ეს მამულიც იჯარით აქვთ აღებული 180—200 მან., მაგრამ იჯარადრობა ისე უხერხულად მიაჩნიათ, რომ განზრახვა აქვთ ეს ადგილი საკუთრებად შეიძინონ.

ამ თვრამეტის წლის წინად სოფელმა ვერს-ნახევარ მანძილიდგან გამოიყვანა მილებით სოფელში წყალი და დღესაც დის სოფლის ორს უბანში მშვენიერი წყაროს წყალი. სოფლელებს ეს საქმე სამას თუმნამდე დაუჯდათ, თუ არ ჩავთვლით მუშას, რადგანაც თვით სოფელი მუშაობდა. ამ ოცდა ხუთის წლის წინად სოფლისავე დახმარებით შეკეთდა აქაური ტაძრის შიგნითა კედლები.

ერთა-წმინდელები არც სწავლა-განათლებას უფრთხიან. ამ რვა წლის წინად გაიხსნა აქ სამრევლო სკოლა, სადაც 50 ბავშვი სწავლობდა; სკოლა პირველად მღვდლის სახლში იყო მოთავსებული; შემდეგ გლეხკაცების შეწევნა-დახმარებით სკოლისთვის შენობა ეკკლესიის გალავანში ააგეს.

რადაც სასწაულის ძალით ერთა-წმინდელები ახალქალაქის სამინისტრო სკოლის სასარგებლოდ ხარჯს იხდიან (მგონი ცხრას თუ თორმეტს თუმანს და ოთხ საჟენ შეშას), თუმცა-კი ამ სკოლის დაარსებიდგანვე მასში არც ერთს ერთა-წმინდელ ბავშვს არ უსწავლია, თუ არ ჩავთვლით იმ ორ აზნაურის ყმაწვილს, რომლებიც ამ 10 წლის წინად სწავლობდნენ. ან-კი როგორ უნდა იაროს ერთა-წმინდიდგან ახალქალაქში ბავშმა, როცა ზამთრობით მიმოსვლა შეუძლებელია. ამ სამის წლის წინად, როდესაც არხიმანდრიტი მობრძანდა სამრევლო სკოლის დასათვალიერებლად, მან ხალხი მოიხმო და სთხოვა შემწეობა რამე აღმოეჩინათ სკოლისათვის. მაშინ ერთმა გლეხკაცმა ასე მოახსენა: „თქვენმა მადლმა, არც მაგას გავექცევით, ვიცით წერა-კითხვაც რა საიმედოა ჩვენი შვილებისათვის, განა ჩვენ რა კეთილი გვაურია უწიგნოთ, რომ ამ კეთილ საქმეს ჩვენი შვილებისათვის არ თანავუგრძნოთ, მაგრამ ამწიე ღონეს ჰქვიან, დამიშვი უღონობასაო", აქაც ვიხადოთ, იქაც, მტერსაც გავსცეთ პასუხი, მოყვარესაც, განა საიდგან, თქვენო კურთხევაო? გვიშუამდგომლეთ, რომ ის გარდასახადი, რასაც ახალ-ქალაქის სკოლისათვის ვიხდით, აქ იყოს გადმოტანილიო, მას ჩვენ კიდევ მივუმატებთ რასმე, მაშინ, იქნება, ჩვენს შვილებს ეშველოთ რამეთ". მოვკარ ყური, გითომ აღუძრათ თხოვნა ამ საგნის შესახებ სამინისტრო სკოლების გამგის წინაშე, მაგრამ ამაოდ.

ამ სოფელში ავ-კაცობა იშვიათი მოვლენაა. მუშაობით გატაცებულ გლეხ-კაცობის ცხოვრების ამღვრევა ყველას დიდ ცოდვად მიაჩნია. უფრო რიგიანი და წინდახედული და განათლებული კაცები რომ ჰყოლოდათ ჩვენებურ სოფლელებს, მათი წარმატება ერთი-ორად იმატებდა.

—

ყოვლად-უსამღვდელოესის იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის მობრძანება სარევიზიოთ სოფ. ითხვისში (შორაპნის მაზრა). ითხვისი დიდი სოფელია და სვერის საბლაღოჩინოში თითქმის პირველი ადგილი უჭირავს, როგორც სიდიდით, ისე თავის სიმდიდრითა და შესაფერის ეკკლესიით. ეკკლესია დიდია, ქვითკირისა, მაღლობ ადგილზედ აშენებული, წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობაზედ და ორ შტატიანია, ორი მღვდელი ჰყავს.

ამ ივლისის 14-ს, კვირას, ეკკლესიის გალავანს დიდ-ძალი ხალხი მოაწყდა სწორედ ისე, როგორც დღეობასა და დიდ საუფლო დღესასწაულებზედ სჩვევიათ; მრევლი მოელოდა ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის მობრძანებას; ხალხს მღვდელ-მთავრის მოლოდინში მხიარულება ეხატებოდა სახეზედ; მეათე საათი დაიწყო, მოუხშირეს ზარების რეკვას და ყოვლად-სამღვდელოც შემობრძანდა ეკკლესიაში, სადაც წირვა ახალი დაწყებული იყო და ეკკლესიაც მჭიდროდ გატენილი ხალხით.

წირვაზედ დამსწრე საზოგადოება მოუთმენლად ელოდა მღვდელ-მთავრის ჩვეულებრივ გრძნობიერ ქადაგებას და სწავლა-მოძღვრებას და მოლოდინიც შეუსრულდა: გათავდა თუ არა წირვა, მისმა მეუფებამ გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ნათლად განმარტა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მართლმადიდებელ ერისათვის წირვას, საზოგადოდ ღვთის მსახურებას და ეკკლესიის სიყვარულს და მასში ხშირად სიარულს. მლოცველმა ხალხმა დიდის გულ-მოდგინებით მოისმინა მღვდელმთავრის ქადაგება, რადგანაც თვითოეული სიტყვა ღრმა-აზროვანი იყო, მნიშვნელოვანი და გულში ჩასაზეჭდი და ამასთანავე მჭევრმეტყველი და ნათელი. რაღა თქმა უნდა, მღვდელ-მთავრის ქადაგებამ ძლიერი და სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე მლოცველ საზოგადოებაზედ.

ქადაგების შემდეგ მისმა მეუფებამ ხალხს ლოცვა-კურთხევა უბოძა, დაათვალიერა ეკკლესია, ინახულა იქვე გალავანში ახლად აშენებული სამრევლო სკოლის შენობა. შენობა ერთ სართულიანია, ქვითკირისა, სამი-ოთახი აქვს: ერთი დიდი—სკოლისათვის, ორი-კი მასწავლებლის სადგომად გაკეთებული. შენობა ყოველმხრით კარგია, მხოლოდ საკლასო ოთახს ფანჯრები მარჯვნივ აქვს დატანებული და არა მარცხნივ, როგორც პედაგოგიური წესი მოითხოვს. ბლაღოჩინმა იოსებ წერეთელმა და მღვდელმა ვლადიმერ კაპანაძემ, რომელთა თაოსნობით სკოლა აშენებულია, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდს მიზეზად მოახსენეს, რომ სკოლის შენობა ისეთ ადგილზედ არის აგებული, რომ ძლიერი ქარი და ქარიშხალი, რომელიც აქ იცის, შენობას მარცხნივ ჰხვდება და, ამიტომ საკლასო ოთახს მარცხნივ ფანჯრები და სინათლე არ მოუხერხდაო.

მისი მეუფება სრული კმაყოფილი დარჩა, როგორც ეკკლესიისა, ისე სკოლის შენობითაც. სკოლის შენობა მზად არის, მხოლოდ ხის ავეჯი აკლია; ამასაც ამ ზაფხულს მოიპოვებენ და მომავალ ენკენისთვიდგან სწავლაც გაიჩარხება.

დიდ ბედნიერებად ჩასათვლელია იმერეთის ეპარქიისათვის, რომ მისი სახელოვანი მწყემსმთავარი ყოველ ეკკლესიას პირადად ნახულობს. მისი მეუფება არ ერიდება არც სიშორეს, არც ცუდ გზას, არც დაღალვას და არც ცუდს ამინდებს. ეკკლესიების რევიზიის დროს დიდ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას—არის თუ არა იმ ეკკლესიის მრევლში სკოლა და თუ არის,—რით სულდგმულობს, ან რა უფრო აკლია ხალხს. საზოგადოებაც ამიტომ დიდის პატივისცემით და სიყვარულით ეგებება თავისს ერთგულს მღვდელ-მთავარს, რომლის ენერგია და ხანგრძლივი სიცოცხლე ყველასათვის სანატრელი და დასაფასებელია ჩვენში...

იმ დღეს მისი მეუფება თან დამსწრე სამღვდელოებით სადილად მიპატიჟებული ბრძანდებოდა ეკკლესიის წინამძღვართან მამა ბლა-

ფელეტონი

თუშური ლექსები

(შეკრებილი ივ. ბუქურაულის მიერ)

⁂

გულო, ჯავრისგან მოკლულო,
რა დაგაყარო წამალი?..
არც დაგეყრება წამალი,
არც მოგედგმება ექიმი!..
ეს ჩემი გული ორია:
ერთში სწვიმს, ერთში დარია;
ავტირდი—შევყრი ღრუბლებსა,
რო გავიცინო—დარია!..
ეს ერთი გული მეტყოდა:
მოკვდი, რათა ხარ მთელია...
მეორეც ამას მეტყოდა:
იყავ, აჯავრე მტერია!..
ეს ჩემი გული რასა ჰგავ?
ცასა ჰგავ შემოღრუბლულსა,
საწვიმრად მომზადებულსა!..
ქალსა ჰგავ ქმარყოფ მოშლილსა,
მამისას დაბრუნებულსა,
ხმალსა ჰგავ, პატრონ მომკვდარსა,
პირჟანგიანსა, ოხერსა...
ცხენსა ჰგავ, პატრონ მომკვდარსა,
სადავე ჩამოშვებულსა,
წისქვილს ჰგავ, მიშლილ-მოშლილსა,
სათავე გადაგდებულსა!..

—

ჩვენი მხსნელი ჩვენი თაოსნობაა...

კანდეევის წიგნში „Очерки Закавказской жизни" ქართველი დ. ასახელებს მიზეზებს, რომლებმაც, მისის აზრით, ძირი გამოუთხარეს ქართველთა კეთილ-დღეობას. ამ გვარ მიზეზებად იგი სთვლის სომეხ ვაჭართა „ვერაგობას", უგზოობას, დიდ-გამოჩინებით მეჯლიშების მართვას (თ. ვარანცოვის დროს), ძვირს კრედიტს, მამულების გაუმიჯნელობას.

არც ერთი ამ მიზეზთაგანი, ჩვენის შეხედულობით, შესაწყნარებელი არ არის.

უწინ ქართველები უფრო შესატყვისს წვეულებებს ჰმართავდნენ და ამან არ გააღარიბა იგინი.

უწინაც ვაჭრობდნენ დღევანდელ სოვდაგართა წინაპარნი და ამან ვერ შეაფერხა ჩვენი მამა-პაპათა მეურნეობა.

უწინაც გამიჯნული არ იყო ჩვენი მამულები, გარნა ეს არ უშლიდა ჩვენს მამებსა და პაპებს ჰყოლოდათ ცხვრის ფარები, ნახირი, ჯოგი, ფუტკარი, ღორთა კოლტები, აბრეშუმის ჭია, პური, ღვინო და სხ.

ვახუშტი, რომელიც სცხოვრებდა მე-XVIII საუკუნის პირველ ნახევარს, ამბობს, რომ კახეთში, პანკისს, თითო მეკომურ გლეხს 2,000 სულამდე ღორი ჰყავსო. რა ჯამს შეადგენდა, თუ ვისმე დღეს ჰყოლოდა ამდენი ღორი?

არჩილ მეფე († 1710 წ.) მოწმობს, რომ თეიმურაზ 1, კაკში მისულს, სოფლელებმა მოართვეს რამდენიმე აქლემის საპანე აბრეშუმიო და მეფემ მით დააჯილდოვა უქონელნიო.

არც რკინის გზა მიგვაჩნია სახსრად გაღოვლათიანებისა, მეტადრე იქ, საცა ერი უმეცარია, მემამულე უმაქნისი, შრომის მოძულე. თუ ეს ასრე არ ყოფილიყო, გვერწმუნეთ, ქართლსა და იმერეთში რკინის გზის ნაპირას მაინც აქამდის აღყვავდებოდა მრავალი სოფელი და მემამულე დიდს ქონებასა და სიმდიდრეს შეიძენდა. გარნა რას ვხედავთ დღეს? იმას, რომ რკინის გზიანი ქართლ-იმერეთი, მეტადრე ქართლი, ეკონომიურად უფრო დაეცა და ურკინის-გზო კახეთ-ქიზიყზედაც უფრო მეტად დავალიანდა. უმეცარს რომ დანა მისცე ხელში, ყელს გამოიჭრისო. რკინის გზაც დანაა მათთვის, ვინც შრომას გაურბის, ვინც დღე-დამეს უმაქნისად ხეტიალს ანდომებს. რაც ფული დაიხარჯა მარტო ჩვენებურ ბანკების ორატორების მჭევრმეტყველობის მოსასმენად ქალაქში ჩამოსულ მემამულეთაგან, ის რომ დაზოგვილიყო, შეადგენდა ჯამს, რომლითაც მთელი უნივერსიტეტი მოეწყობოდა.

არც სომეხ-ვაჭრების „გაუმაძღრობა" და „ვერაგობა" მიგვაჩნია მიზეზად ჩვენის გაღარიბებისა. ეს რომ ესრე ყოფილიყო, მთელი იმერეთი, საცა სომხის ვაჭრობა არ არის, სიმდიდრით ყელთამდე აივსებოდა.

იტყვიან: მიტომ არის ვეშაპი ზღვაში, რომ ორაგული ფხიზლობდესო. ამისი არ იყოს, ვაჭრისა რა ბრალია, რომ შენ ბევრის ჭამა გინდა და მცირესაც არ იგებ, დიდი მამული გიჭირავს და მოვლა-კი არ იცი, მოწყობილი კარ-მიდამო, სალოცავები და ზვრები გაბადია და მას ჰყიდი ანუ აგირავებ, აღებულს ფულს უთავბოლოდ ჰფანტავ, აბნევ.

ვიცნობდით ერთს დიდს მემამულეს, რომელმაც თავისი მიწები დააგირავა, ბანკიდგან გამოტანილი 30,000 მანეთი ორს დღე-ღამეში მთლად გაფლანგა ვერის ბაღებში, თანაც საზიზღარი სენი აიკიდა და მალე ჩაჰბარდა გამჩენს, მისი 200,000 მანათ. საღირალი მამული-კი გაიყიდა საჯარო ვაჭრობით.

ვინმე თავმომწონედ გვიამბობდა „მოგებით გავყიდეთ ჩემი მამულები, მაგრამ რისგან რა გამოვიდაო. სულ ავიღე 10,000 მანათი, ჩამოვედ ქალაქში, მიმიწვიეს ორთაჭალას „კარტის" სათამაშოდ. წაველ. დილამდის ვითამაშეთ, წავაგე 9,990 მანათი, უკვე გარიჟრაჟდა, რომ ავიშალენით, ჩავჯექ ეტლში და შინ მოვალ, ეტლიდგან ჩამოხდომისას ის 10 მანეთიც მეეტლეს თავში ვათხლიშე და დამძარებული სახლში შევედი და ის დღე ძილს მოვანდომეო"...

საცა მამულს ასეთი თათქარიძესებური ნიმუშები და მარგალიტები ჰყავს, და ისიც ათასობით, იქ რას უშველის მას რკინის გზა, მამულის გამიჯვნა, ანუ სვინიდისიანი ვაჭარი! ვინც ნებსით თავისს თავს წყალს აძლევს, ხსნა განა-ღა სანუკარი და ჯერია?

ბ. დ. იმასაც სწერს, რომ კახელს ჯ—ს დიდი მამული აქვსო, მარტო მისი ატეხილი ტყე 1,200 დესიატინის სივრცისააო, გარნა ყარაულობაზე დანახარჯსაც ეს სამთავროს ტოლი მამული არ აძლევსო, რკინის გზა-კი რომ ყოფილიყო, 500,000 მანეთად დააგირავებდაო.

ჩვენს მემამულეებს პირზე მხოლოდ დაგირავება და გაყიდვა აკერიათ!

იმერეთსა და კახეთში გვინახავს 1—2 დესიატინა სივრცის მამულები, რომელნიც პატრონებს 1,000 მანეთამდე შემოსავალს აძლევენ. მაშასადამე, 10,000 დესეტინა მამულის მფლობელმა რომ თავისი მიწა ჩააბაროს მშრომელს გლეხებს, თუ გინდ სანახევროდ, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ყოველ წლივ მიიღებს 25,000—30,000 მანეთამდე.

ზაქათალის, ნუხის, არეშისა და სხ. მაზრებში ისეთი მცირე მამულიანი მეკომური არ არის, რომ 5—100—200 ძირი თხილის ბუჩქი არ ედგას. თხილმა მოუცდენელი ნაყოფი იცის და არც სეტყვისა ეშინიან. ზაფხულის თვეებში თითო-ოროლა ჯერ მორწყვა უნდება. ყოველი ბუჩქი იძლევა 1—2 ფუთამდე თხილს. ფუთი ადგილობრივ იყიდება 2—3 მანეთამდე. შარშან თუ შარშან-წინ ბაქოს მხრიდგან გატანილ იქმნა რამდენისამე მილიონის თხილი.

დიდს მიმუშნდეს 1000—5000 თხილის ბუჩქი, სულ ცოტა, პატრონს მისცემს 5,000—20,000 მანეთამდე. ამიტომაა ნაშენობას მხოლოდ ერთი კაცი ეყოფა მოვლელად; ესე გინდა, თვით ბუჩქებს შუა ანუ მათ შუა შეიძლება კარგი ბოსტანიც მოიყვანოს პატრონმა, ანუ ფეტვი, ქერი და სიმინდი დათესოს.

ოღონდ მოსავალი უხვი იყოს, თორემ მისი გაყიდვა და გასაღება ყოველთვის მოგვარდება. [illegible] ჩამოაქვთ თავისი ნესვი, საზამთრო, ვაშლი, [illegible] და სხ. და მოგებით ჰყიდიან ტფილისში, განჯაში, სიღნაღს, თელავს და ნუხას. [illegible]

ოღონდ [illegible], თორემ, თუ დავიზარებთ, ოქრო თვითონვე მოაწყდება ჩვენს ხელს ჩვენს **პანტის** (მთელის თემის მიწაგარი) გადასახადავად.

„თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იქნებიო", თქმულა ძველად. მართალია, თუ შენს მარჯვენას დაენდობი, ჭკუასა და ხერხს მოიშველიებ, ყოველ დამბრკოლებელს მიზეზებს დასძლევ [illegible] „ვერაგ" ვაჭრისა, ხელს შეუძლებ თავისუფალ და ლაღ ბატონად საგრილსა ნერვთა შენთას.

ბერი.

ლოჩინ იოსებ წერეთელთან და ნასადილევს წაბრძანდა სარევიზიოდ მახლობელ სოფლებში. როგორც ამბობენ, ყოვლად-უსამღვდელოესი ლეონიდი ამ ზაფხულს გაათავებს ეპარქიის ეკკლესიების რევიზიას.

ბ. ვაშაძე.

უცხოეთი

ინგლისი. Ზოგიერთი ინგლისური გაზეთი ლორდ სოლსბერის სამსახურიდგან გადადგომას სულ სხვა მიზეზებით ხსნის; „Daily News“-ი ამბობს, ვითომც პრემიერისა და მეფის დამოკიდებულება გვირგვინის კურთხევისათვის ჯილდო-საჩუქრების გამოცხადებას გაემწვავებინოს.

Ყველაზედ უფრო ჯერ იმან გააკვირვა საზოგადოება, რომ ჯილდოების სია ისე გამოცხადდა, ვითომც მხოლოდ მეფის ინიციატივით ყოფილიყოს შემდგარიო. გარდა ამისა, სიაში სრულებით არა იყო-რა ნათქვამი ლორდ სოლსბერის ღვაწლის შესახებაო. შემდეგ წამოყენებულ იქმნა დიდ-მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო საკითხი, და სოლსბერიმ შეუძლებლად სცნო სამსახურში დარჩენა, თუმცა მეფემ ბევრი სთხოვაო.

— „Daily Telegraph“-ი არწმუნებს, იმპერატორმა ვილჰელმმა საბოლოოდ გადასწყვიტა, რომ კოუსს გაემგზავრის მეფე ედუარდთან სადარბაზოდ, როცა ნორვეგიიდგან დაბრუნდებაო. ედუარდსაც სურვილი განუცხადებია, მაგრამ ჯერ არ იციან, როდის მოხდება მათი შეხვედრაო.

საფრანგეთი. რადიკალური გაზეთები სიხარულს მისცემიან, კონსერვატორნი და კლერიკალნი მთავრობის საწინააღმდეგოდ დიდ მანიფესტაციების მოხდენას აპირობენო. გაზეთები ამბობენ, რომ აქამდე ამ კანონს მეტად ლმობიერად ეკიდებოდა თვით მთავრობაო და, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ კონგრეგაციებს დიდ-ძალი საზოგადოება სრულებით უსაფუძვლოდ თანაუგრძნობდაო. ეხლა-კი საწინააღმდეგო დემონსტრაციები საქმეს გაამწვავებს და კანონს ნამდვილ ბრძოლის ხასიათს მისცემსო.

გერმანია. პოლონური გაზ. Orendownik-ი გადმოგვცემს, პოლონელ არისტოკრატთა და მთავრის ყოფილმა კამერგერმა სთხოვეს პრუსიის ერთს მინისტრთაგანსა, რომ დაარწმუნონ იმპერატორი ვილჰელმი და მომავალ წლამდე მაინც გადაადებინონ პოზნანში მოგზაურობაო.

ამ დღეებში პოზნანის საბჭოს კრება ჰქონდა იმ ხარჯების გამოსანგარიშებლად, რომელიც ქალაქმა უნდა გასწიოს იმპერატორ ვილჰელმის დასახვედრად. პოლონელი ხმოსნები არ დაესწრნენ კრებას და ასეთი განცხადება გაუგზავნეს ქალაქის მოურავს გერცბერგს:

„ჩვენ სახეში გვაქვს იმპერატორ-მეფის მიერ მარიენბურგში წარმოთქმული სიტყვა, რომლიდგანაც ის დასკვნა გამოგვყავს, რომ მათს უდიდებულესობას არაფრად ესიამოვნება პოლონელთა დახვედრა პოზნანში, ამიტომ მეტი იქნებოდა დღევანდელს სხდომას დავსწრებოდით“.

ჰოლანდია. „K. H. Ztg.“—ატყობინებენ უტრეხტიდგან 22 ივლისის თარიღით (ახ. სტ.), რომ ტრანსვაალის ყოფილი პრეზიდენტი კრიუგერი მეტად დასუსტდაო. ამ დღეებში თავის მახლობელთათვის უთქვამს, მინდა ბარემ მოვკვდე, რადგან უკანასკნელი იმედიც მომესპოო.

მაროკკო. ინგლისისა და გერმანიის მაროკკოში მყოფნი დიპლომატნი დაჟინებით სთხოვენ მაროკკოს ხონთქარს, დედა-ქალაქად ფეცი გაჰხსადე და სახელმწიფო მართვა-გამგეობაც იქ გადიტანეო.

სხვა-და-სხვა წერილები

ტფილისის სასულიერო სემინარია და მისი საოლქო სასულიერო სასწავლებლები.

V

სასურველია, რომ ქართველ მოზარდ თაობამ, საზოგადოდ, და, კერძოდ, სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეებმა საფუძვლიანად შეისწავლონ სახელმწიფო ენა.

სასურველია, რომ თვითეული საგნის სწავლება დამყარებული იყოს შეგნებაზედ და არა ზეპირობაზედ; სასურველია, რომ თვითეულ საგანს შერჩენოდეს აღზრდითი მნიშვნელობა და თვით სწავლება ამა თუ იმ საგნისა გამხდარიყოს უეჭველად მოწაფის გონების გამამდიდრებელი.

სასურველია და აუცილებელ საჭიროებადაც უნდა ჩაითვალოს, რომ მოსწავლენი, როცა სასულიერო სასწავლებელს ათავებენ, ყველა იმ საგნებში იყვნენ გამოცდილნი, რა საგნებშიაც სემინარიის მთავრობა გამოსცდის და არა ისე, როგორც ახლა არის: სასულიერო სასწავლებლის მთავრობისაგან გამოცდა შვიდი საგნის რომელსამე განყოფილებას, სემინარიისა რვა საგანსა და იმასაც სრულიად. მერვე საგანი საღმრთო ისტორიაა, რომელსაც I და II კლ. სწავლობენ. I და II კლ. საღმრთო ისტორიის იმ ნაირად სწავლება, როგორც ახლა არის, სწავლება-კი არა, ნამდვილი წამებაა ბავშვებისა. ამ საგანს სამი გაკვეთილი აქვს დაიმობილი, რაც წელიწადში შეადგენს არა უმეტეს 85 გაკვეთილისა. დასასწავლი არის 80 მოთხრობა, რომელთაგან თვითეული მოითხოვს I კლასში არა ნაკლებ ორის გაკვეთილისა. ერთს გაკვეთილზედ ახსნით კითხვა უნდა ასწავლონ და მიცემულ კითხვებზედ ნაწყვეტ-ნაწყვეტად მბობა, მეორე გაკვეთილზედ მოთხრობით გადმოცემა. ესაც მაშინ არის მოსახერხებელი, თუ მასწავლებლად ქართველი იქმნება, ან რუსი ქართულის მცოდნე. უამპირობოდ სამ-ოთხ გაკვეთილადაც არ დაისწავლება მოთხრობითი გადაცემა, მხოლოდ შეიძლება თუთიყუშური დასწავლა, როგორც ახლა არის. ამისთანა დასწავლა მეტად ძვირად უჯდება ბავშვის გონებას. ეს ისეთი საქმეა I-ლ კლასელის გონებისათვის, რომელიც უნაყოფოდ ღლის გონებას და თანდათანობით ათახსირებს მას. განა, შეიძლება კვირაში სამჯერ თითქმის მთელი ფურცლის ზეპირად დასწავლა, ისიც გაუგებრივ, ზეპირად დაისწავლოს ბავშვმა და მისი გონება არ დაიჩაგროს, არ გათახსირდეს?

ეს არის თავი და თავი მიზეზი, რომ მოსამზადებელ კლასიდამ გადმოსული ცქვიტი გონების ბავშვი I კლ. წლის დამლევს ფრთებ ჩამოყრილს, ბევრის ცემისაგან დაოსებულს მამლაყინწას დაემგზავსება ხოლმე, ათში ერთი ვერ იტანს თუთიყუშურ ზეპირობას, თუმცა მთელ დროს ამ ერთ საგანს ალევს. რა დღესაც ისტორიის გაკვეთილი აქვთ, იმ დღისათვის ბავშვებმა სხვა გაკვეთილები არ იციან; ეს ისეთი ნაცნობი მოვლენაა, რომ ყურსაც აღარავინ უგდებს, ყველა ისე უყურებს, ჰგონიათ, ასე უნდა იყოსო. ერთი სიტყვით, ეს უკვე შეჩვეული ჭირია, რომელსაც ნებაუნებურად ითმენს სხვა საგნის მასწავლებელი. ამით არ თავდება გამათახსირებლობა ამ საგნის სწავლებისა. არა თუ სხვა საგნებიდგან გაკვეთილი არ იციან იმ დღეს, ვერც მასწავლებლის ახსნას ითვისებენ იმ სიადვილით, როგორც მაშინ, როცა ისტორია არა აქვთ. მაშ რა არის, თუ არა წამება?

მე-II კლ. შესახებაც იგივე ითქმის, მცირე რისამე შემსუბუქებით. ეს შემსუბუქება წარმოსდგება იმისაგან, რომ ბავშვებს ახალი აღთქმა უფრო ეადვილებათ, რადგანაც ეკკლესიაში, შინ და გარეთ უფრო სმენიათ ახალი აღთქმის მოთხრობები საშობლო ენაზედ და ეს უადვილებთ; თანაც I კლ. მოსწავლეზედ უკეთ იციან რუსული სიტყვების მიმოხვრაც, ახლა მათი ლექსიკონიც შედარებით გამდიდრებულია. ყველა ეს რომ მივიღოთ მხედველობაში, აუცილებელ საჭიროებად უნდა აღიარებულ იქმნას ამ გამათახსირებელ პირობებისაგან ბავშვების განთავისუფლება. ამისათვის ბევრი რამ არ არის საჭირო, იგი არ მოითხოვს მთელი პროგრამმის შეცვლას, მცირე რამ ცვლილება უნდა, თუმცა მრავალ-მნიშვნელოვანი, რომელიც ადვილად საკისრებელია ადგილობრივის მთავრობისათვის.

მე-III კლ. ერთი გაკვეთილი გეოგრაფიისა გადატანილ იქმნეს I კლასში.

მე-IV კ. ორი გაკვეთილი გეოგრაფიისა გადატანილ იქმნეს მე-II კლასში.

ამ ნაირად გეოგრაფია ასე განაწილდება: 1 გაკვ. I კლ., II, III და IV კლასებში იქმნება ორ-ორი გაკვეთილი, სულ შვიდი გაკვეთილი, როგორც ახლა არის.

გეოგრაფიის კურსი გაიყოფება ასე: I კლ. ტატანი და მისი მხარეები, დედამიწის სიმრგვლე და მისი დასამტკიცებელი საბუთები. დედა-მიწის მოძრაობა და აქედგან წარმომდგარნი მოვლენანი. შექმნა დედამიწისა და სამყაროსი, თანახმად საღმრთო ისტორიისა და ესევე დაყოფა ხმელეთისა და წყლისა. სივრცე და საზღვრები ხმელეთთა. განხილვა ხუთის ხმელეთის ნაწილისა გლობუსზედ და რუკაზედ.

მე-II კლასში: გლობუსის ბადე, ფიზიკური და პოლიტიკური განხილვა აზიისა, აფრიკისა, ამერიკისა და ავსტრალიისა.

მე-III კლასში: რუსეთის იმპერია, ამერიკისა და ავსტრალიის პოლიტიკურის მხრივ განხილვის გამეორება.

მე-IV კლასში: ფიზიკური, პოლიტიკური და ეტნოგრაფიული განხილვა ევროპისა. რუსეთის გეოგრაფიის გამეორება და მთელი კურსის გამეორება.

გეოგრაფიის გაკვეთილის მაგიერ I კლასიდგან ერთი გაკვეთილი ისტორიისა გადაიტანება მე-III კლ. ორი გაკვეთილი საღმრთო ისტორიისა მე-II კლ. გადიტანება მე-IV კლასში, ამ ნაირად საღმრთო ისტორია განაწილდება ოთხსავე კლასზედ ესრედ: I კლასში 2 გაკვ., II კლ. 1 გაკვ., III კლ. 1 გაკვ. და IV კლ. 2 გაკვ. სულ ექვსი გაკვეთილი, როგორც ახლა არის.

ორივე აღთქმის ისტორია შეიძლება ასე გავანაწილოთ: I კლ. შექმნა ქვეყნისა და ცხოვრება პირველთა ადამიანთა სამოთხეში, კაცთა ნათესაობა წარღვნამდის. კაცთა ნათესაობა წარღვნის შემდეგ და დაყოფა ხალხოსნებად. პატრიარქები და იმათი დრო. ებრაელნი ეგვიპეტში. ებრაელთა წინამძღვარნი და მათი დრო. მსაჯულნი ებრაელთანი და იმათი დრო.

მე II კლასში მეფობითი მართებლობა ებრაელთა და მეფენი მათნი სამეფოს გაყოფამდის. მეფენი ისრაელთა სამეფოს დამხობამდის. მეფენი ბაბილონის ტყვეობამდის. ბაბილონთა მფლობელობა. მიდიელების და სპარსელების მფლობელობა. რომაელთა მფლობელობა და გამეორება I კლ. კურსისა.

მე III კლ. ახალი აღთქმა, ვიდრე სერობამდის.

მე IV კლ. ახალი აღთქმის დათავება და ორივე აღთქმის გამეორება.

რაც შეეხება ტიბიკონს, უნდა აღიარებული იყოს, რომ შესაძლებელს მოსთხოვენ და არა შეუძლებელს. ისიც მე III და IV კლ. უნდა განაწილდეს. კატეხიზმოს კურსი III კლასში შემცირდეს, რადგანაც ეს ნაწილი მეტად განყენებულ საგნებიდგან შესდგება და ძნელად შესათვისებელია. ამ შემოკლების მაგიერ მე III კლ. ისწავლონ ტიბიკონიდგან ტაძრის დაყოფა და მისი მნიშვნელობა, შესამოსლის სახელები და მათი მნიშვნელობა. უამისოდ ერთ კლასში მეტად მრავალი სახელების შესწავლა უხდება მოსწავლეს მცირე დროს და დასწავლილიც ხანგრძლივ არა რჩება.

თუ თანახმად ნათქვამისა იქნება მოწყობილი საქმე, რაც ძალიან ადვილია, მაშინ სასულიერო სასწავლებელში კურსის დამთავრების დროს მოსწავლე სასწავლებლის ყველა საგნებში იქმნება სავსებით გამოცდილი და, ასე გამოცდის შემდეგ, თუ ადგილობრივ მცოდნე აღმოჩნდა, სადაც უნდა წავიდეს, ყველგან ასეთი იქმნება. მისი ცოდნა სრულს წესიერებაში იქნება მოყვანილი და მით გაადვილებული ექმნება ცოდნის მართლა დასაკუთრება.

სწორედ ამნაირად წესიერებაში მოყვანილს ნასწავლზედ ამბობს პოეტი:

„სწავლა სიკვდილდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი:
მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი“.

ნათქვამიდგან ცხადად დაინახავდა მკითხველი, რომ, თუ სასულიერო სასწავლებელში კურს-დამთავრებული სუსტობს იმ საგნების ცოდნაში, რომლებსაც იქ ასწავლიან, ამის მთავარი მიზეზი სასწავლო მასალის უხერხულად განაწილებაა. მართალია, ამ გვარი განაწილება ბევრს არას დააბრკოლებს იმ სასულიერო სასწავლებელში, სადაც მოსწავლენი რუსნი არიან, ან თუნდა ბერძენნი, მაგრამ რუსულის მცოდნენი, ესევე არ ითქმის იმ სასწავლებელზედ, რომელშიაც იღებენ ისეთ ბავშვებს, რომლებმაც ერთი სიტყვაც არ იციან რუსული.

უკანასკნელ გარემოებას, რაც ორივე თვალით ბრმისათვისაც ცხადია, არავითარ ყურადღებას არ აქცევენ და გაუწითლებლივ იმ სასწავლებლების მოსწავლეებს, სადაც ნახევარზედ რუსები და ნახევარზედ ბერძნები რუსულის პატარაობითვე მცოდნენი სწავლობენ, ადარებენ იმ სასწავლებლის მოსწავლეებს, რომლებსაც სასწავლებელში შესვლის დროს ერთი სიტყვაც არა სცოდნიათ & ამჩნევენ-რა მცირე რაიმე გარჩევას, უკვირთ, საიდამ არის ეს გარჩევა, კურსი ხომ ერთი და იგივეაო! რასაკვრელია, ეს პედაგოგიურ სიგლახაკის ბრალია, ეს მიზეზი რომ არ იყოს, სწორედ მცირე გარჩევაში დაინახავდა პედაგოგი საქებარ და სასიქადულო მხარეს საპედაგოგო მოღვაწეობისას. ეს რომ ასეა, ამისი უტყუარი, ყველასათვის ცხადი, ორივე თვალით ბრმისათვისაც შესაგნებელი ფაქტი არის ის, რომ სწორედ დაწუნებულ მოსწავლეთა უმეტესი % არის დღეს უმაღლეს სასწავლებელში. ერთი ამისთანა სასულიერო სასწავლებელი, რომლის მოსწავლეთა უმრავლესობა უმაღლეს სასწავლებელშია, აგერ ათი წელიწადია, რაც მისი არსებობა ბეწვზედ ჰკიდია. რამდენჯერმე მოისურვეს მისი სრულებით დახურვა, რამდენჯერმე თვისი სურვილი უმაღლეს მთავრობასაც განუცხადეს, რამდენჯერმე გავრცელდა ხმა, რომ ის სასულიერო სასწავლებელი ისპობაო, რადგანაც არ ვარგაო, და ეს ხმები ვრცელდებოდა მთავრობის მონაწილე პირთაგან. ერთი კეთილ-მორწმუნე კაცი არ აღმოჩნდა ამდენ ღვთის მოსავთა შორის, ეკითხნა, რა არის მიზეზი იმ სასწავლებლის დაკეტისა? გამოიძიეთ, იქნება ის სასწავლებელი უფრო უკეთეს შვილებს იძლევა ეკკლესიისას? იქნება ის სასწავლებელი უფრო ბეჯითად ემსახურება ეკკლესიას, მეფეს და სამშობლოსა? იქნება სულ შემთხვევითი, უბრალო მიზეზები არის. შემთხვევითს მიზეზების გარდა, შესაძლებელია სხვა მიზეზიც იყოს, აი, თუნდა ამისთანა მიზეზი: ვსთქვათ, სემინარიაში რომელიმე საგნის მასწავლებელს უნდა, რომ სწავლება თვით მიისაკუთროს და ამისთვის მისაღებ ეგზამენზედ მოწაფეს $2^1/_2$ უსვამს, ვითომც არ ვაბრკოლებ, მივიღოთ, მაგრამ მე დიდი შრომა დამჭირდებაო. ამასავე იმეორებენ პირველი წლის დამლევს, ვითომც, რაც იციან, ჩემი წყალობითაო. ის-კი არა, ასობით დავიმოწმებ, რომ, რაც იცოდნენ, სწორედ იმ ექვს წელიწადში დაავიწყდათ და სულაც დაავიწყდებოდათ, რომ თვით არ ემეცადინნათ.

სწორედ იქ ჩავედით, სადაც საჭიროა ითქვას, რომ ქართული ენა, როგორც ერთად-ერთი იარაღი სოფელში ცრუ-მორწმუნოებასთან და უმეცრებასთან საბრძოლველი, უნდა იყოს დაყენებული, თანახმად უწმ. სინოდის ზემორე მოხსენებულის უქაზისა, როგორც სასულიერო სასწავლებლებში, აგრეთვე სემინარიაში. უნდა უარ-ყოფილი იყოს ის უგვანო მოსაზრება, რომ, ვითომც ქართული ენის ჯეროვანი სწავლება იყოს მიზეზი რუსულის ენის უცოდინარობისა და უკანასკნელი კიდევ მიზეზი დანარჩენ საგნების უცოდინარობისა. აბა, სწორედ ეს არის მაჩაბლისა და ურიის ზღაპარი! ამისთანა ფუყე და თავისთავად დაფუშულს აზრს დარღვევა არ ესაჭიროება?

სამაგიეროდ იმას ვიტყვი, თუ მართალი სურვილი აქვს ვისმე, რომ მოსწავლემ ცნობიერად შეითვისოს რუსული და ბერძნული ენების ძნელი საგრამატიკო ფორმები, რომ ცნობიერად შეისწავლოს საღმრთო სჯული და სხვა საგნები, გარდა ზემორე ნაჩვენებ გაკვეთილების გადატან-გადმოტანისა, ფრიად საჭიროა კიდევ ქართულის ენის მეტი თავისუფლება, ე. ი. მოაშორონ ყველა დაბრკოლებანი, რომლებითაც დაეკლილია მისი სწავლების ისედაც ვიწრო ბილიკი.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სასულიერო სასწავლებლების დღევანდელს მდგომარეობას ჩაუკვირდება სემინარიის სამოსწავლო რჩევა და რა-კი თვით დაინახავს უხერხულობას სასწავლო მასალის განაწილებისას და სხვას, ეცდება ყოვლად-უსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსის ალექსის ლოცვა-კურთხევით ამ მხრივ როგორმე სასარგებლოდ მოაწყოს საქმე.

აგრეთვე იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სემინარიის მთავრობა ნამდვილს ხელმძღვანელობას გაუწევს სასწავლებლებს და ყოველს სარევიზიო ანგარიშს სასულიერო გამოცემაში გამოაქვეყნებს, რომ ყველას მისცეს შემთხვევა სასწავლებლის ნაკლისა და მის გასასწორებელ საშუალების გაცნობისა. ბეჭდვითი სიტყვა მოზარდთა სწავლა-აღზრდის საქმეში უებარი წამალია ყოველგვარის ობის მოცილებისა.

სადაც ბეჭდვითი სიტყვა ვერ აწვდენს თვალის საზრსა, იქ მეტად სქელი ობის მოკიდება იცის და, აბა, მოზარდთა სწავლა-აღზრდაში ობი ხომ ნამდვილი საწამლავია, ისიც სულისა და გულის საწამლავი!

ნადიკვრელი.

სოფლის მასწავლებელთა კურსები ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში.

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში ათ ივლისს იყო ეგზამენები კურსისტებისა. სოფლის მასწავლებლების ეგზამენს დაესწრნენ დირექტორი ბ. სოკოლოვსკი, ინსპექტორი კ. დ. მაჭავარიანი, ს. ქვარიანი, სკოლის მზრუნველი დ. ნ. ბაქრაძე, სასწავლებლის მოხელენი და კურსისტები: ზედამხედველი წალენჯიხის სასწავლებლისა იოსებ **ქობალია**, ძველ სენაკის მასწავლებელი ე. **ხოშტრია**, ილორის მასწავლებელი ე. **ჟანჟღავა**, მარიდ. **ივანე მაქაცარია**, გულეიკარისა **ბესარიონ დემურია**, აწინისა (სოხ. ოლქისა) **გიორგი გვარამიძე**, ნიგოითისა **ილია დათიაშვილი**, ფარცხა-ნაყანევისა **გაბრ. შავგულიძე**, კულაშისა **პ. ქაჯაია** და ზემო ლინდავის მასწავლებელი **პეტრე პეიცი**.

ეგზამენში ყველა ჩინებულად გამოვიდა და ყველამ მიიღო მოწმობა. ამ დღეებში საჩუქრად გაეგზავნება კურსისტებს წიგნები და სხვადა-სხვა იარაღები.

ნაეგზამენევს სასწავლებელმა სადილი გაუმართა თავის ძვირფასს სტუმრებს. სადილის დროს ბევრი სიტყვა ითქვა. წლევანდელი კურსები მით იყო შესამჩნევი, რომ, გარდა სამეურნეო საგნების შესწავლისა, რამოდენიმე კრება ჰქონდათ შემდეგ კითხვების ასახსნელად:

1) სასურველია თუ არა გავრცელდეს ქუთაისის გუბერნიის სასოფლო სასწავლებლებთან სამეურნეო განყოფილებანი?

2) სამეურნეო საგნების შესწავლა სასოფლო სასწავლებლებში ხელს ხომ არ შეუშლის სასწავლებლის პირდაპირ დანიშნულების ასრულებას?

3) რითი უნდა ავხსნათ, რომ იმ სოფლის სასწავლებლის მოწაფეებს, რომლებსაც შეუსწავლიათ სამეურნეო საგნები სასწავლებელში, არავითარი (თითქმის) გავლენა არა აქვთ მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში?

4) სასურველია თუ არა სასწავლებლებს წინადვე შემუშავებული ჰქონდეს პროგრამები მეაბრეშუმეობისა, მებაღეობისა და ბოსტნის მოვლა-მოშენებისათვის?

5) სასურველია თუ არა შედგენილ იქმნას სახელმძღვანელო სამეურნეო საგნების სასწავლებლად სასოფლო სკოლების მოწაფეებისთვის?

6) შეიძლება თუ არა მეაბრეშუმეობის, ბაღოსნობის და ბოსტნის მოვლა-მოშენების სწავლება იმ პროგრამით, რომელიც შეიმუშავა ნ. მკურნალმა სასწავლებლებისთვის (ორ-კლასიან სასწავლებლებისათვის)?

7) შეიძლება თუ არა ადვილად შეისწავლონ სოფლის სასწავლებლების მოწაფეებმა სამეურნეო საგნები იმ მეთოდით, რომელიც შეიმუშავა ნ. მკურნალმა ერთ და ორ-კლასიან სასწავლებლებისათვის.

8) აქვს თუ არა სოფლის მასწავლებელს იმდენი დრო, რომ ასწავლოს მოწაფეებს სამეურნეო საგნები და აქვს თუ არა მოწაფეებს საკმარისი დრო ამ საგნების შესასწავლად?

9) შეიძლება თუ არა, პრაქტიკის გარდა, თეორიულად შეისწავლონ სამეურნეო საგნები ორ-კლასიან სასწავლებლის მოწაფეებმა?

10) რა რიგად უნდა მოამზადონ მასწავლებელნი—სამეურნეო განყოფილების მმართველნი?

11) შეიძლება თუ არა მოწაფეებმა, სანამ კურსს დაამთავრებდნენ, გააუმჯობესონ თავიანთ საკუთარ მამულში მეაბრეშუმეობა, მებაღეობა და მებოსტნეობა?

12) რა მიზეზი აბრკოლებს სოფლის მასწავლებლების მოქმედებას სოფლებში?

რადგანაც მასწავლებლებს მათი წრფელი სურვილი, ექსკურსია, ვერ აუსრულდათ საშუალების უქონლობის მიზეზით, ცხრა ივლისს სამეურნეო სასწავლებელში მოიწვიეს ქვიტირის ორ-კლასიან სასწავლებლის მეოთხე და მეხუთე განყოფილების მოწაფეები. ეს მოწაფეები იმისთვის მოიწვიეს, რომ: 1) ნ. მკურნალს მიეცა მათთვის, მასწავლებლებისკურსისტების თანადასწრებით, სამაგალითო გაკვეთილი მეურნეობისა თავის მეთოდით; 2) გამოეყვანა მოწაფეები სამუშაოდ და ეშუავებინა ისე, რომ დაწვრილებით გაეგოთ დანიშნულება ყოველნაირის აპერაციისა მუშაობის დროს და 3) ეჩვენებინა—შეიძლება თუ არა მუშაობის დროს მოწაფეებმა კარგად და ბეჯითად შეისწავლონ შემდეგ დღისათვის მიცემული გაკვეთილი რუსულის ენისა, რუსულ ისტორიისა ან საღმრთო სჯულისა.

კურსისტების აზრი ჩამოთვლილ კითხვებზედ და შედეგი ცხრა ივლისის გამოცდისა იმდენად საინტერესოდ მიგვაჩნია, რომ საჭიროდ ვთვლით ორიოდე სიტყვა ვთქვათ ამ საგნის შესახებ.

ჯერ გავიცნოთ ის, თუ რა მდგომარეობაში იყო საზოგადოდ ქუთაისის გუბერნიაში სამეურნეო განყოფილება სოფლის სასწავლებლებთან და მათი რაოდენობა 1901 წ. 1 იანვარს. *) ქუთაისის გუბერნიაში სოფლის სასწავლებლებმა (ზოგიერთებმა) სამეურნეო საგნების სწავლება რიგიანად დაიწყეს წარსულ საუკუნის ოთხმოც წლებში ბ. იანოვსკის მეოხებით, ხოლო სახელმწიფო მიწების დარიგება დაუწყეს სასწავლებლებს 1872 წ.

1872 წელს მიწა მისცეს პერევისის სასწავლებელს და რაჭის (მიხაილოვის) სასწავლებელს.

1873—დიდი-ჯიხაიშის და ნოსირის სასწავლებელს.

1875—ხორგის, ქვალონის და ქორბაულის სასწავლებლებს.

1876—მუხურის სასწავლებ.

1877—ყვირილის —

1878—მარევსკის —

1879—ნაესაკოვის —

1901—წლის დამლევს ქუთაისის გუბერნიის დირექციაში ითვლებოდა სულ 251 სასწავლებელი, ხოლო სამეურნეო საგნების სწავლა იყო გამართული 126 სასწავლებელთან, აქედგან:

ქუთაისის მაზრაში იყო	34	სასწავლებელი
სენაკისა	20	. . . .
ოზურგეთის მაზრაში	19	. . . .
სოხუმის ოლქში .	14	. . . .
ზუგდიდის მაზრაში .	13	. . . .
შორაპნის მაზრაში .	12	. . . .
ლეჩხუმისა . . .	5	. . . .
რაჭისა	4	. . . .
ბათუმის ოლქში . .	3	. . . .
ართვინის ოლქში .	2	. . . .

სულ 126.

ყველა ამ სასწავლებლებს ჰქონდა 140 ნაჭერი მიწა, რომელსაც შეადგენდა 180 დე-

---

*) ეს ოფიციალური ცნობები გადმომცა სკოლების ინსპექტორმა ბ-მა კ. დ. მაჭავარიანმა.

ეტინა და 143 კვ. საჟ. ამ ნაჭრებიდგან დაუთმიათ:

გლეხებს—51.
თავადებს—17.
აზნაურებს—14.
ხაზინას—9.
სამღვდელოებას—6.
კერძო პირებს—7.
სხვა-და-სხვა საზოგადოებას—35.
სახელმწ. ქონ. მმართვ.—1.

ამ მიწებიდგან დამუშავებულია მხოლოდ 51 დესეტინა და 1355 კვადრატი საჟენი და მოშენებულია ვენახები, ბოსტნები, ბაღები, დარგულია თუთის ხეები, დეკორატიული ბაღები და სხვა. ამუშავებდა და ასწავლიდა სამეურნეო საგნებს 181 მასწავლებელი, იმათში სპეციალისტებად ითვლებიან მხოლოდ ათი და დანარჩენს-კი თითონ შეუსწავლიათ მეურნეობა. 1872—1901 წლამდე ამ ბაღებისათვის, ბოსტნების და საზოგადოდ მიწის დასამუშავებლად დაუხარჯავთ მხოლოდ 34,936 მანეთი და 71 კაპ. სხვა-და-სხვა გამოფენებზედ სასწავლებლებს მიუღიათ 111 ჯილდო. როგორც სასწავლებლები არ არის ერთნაირად განაწილებული გუბერნიის სხვა-და-სხვა კუთხეში არც სასწავლებლების მიწებია ერთნაირ ზომისა, ასე მაგალითად,

ქუთაისის მაზრაში:

სამეურნეო განყოფილებით არის 34 სასწავლებელი, რომლებსაც აქვს სულ 13 დესიატინა 901 კვად. საჟ. ამ სასწავლებლებს მეტი მიწა აქვთ: კულაშის ნორმალურს, დიდიჯიხაიშის ორ-კლასიანს, ქუთაისის სამოქალაქოს (რომელიც ჯერ არ ამუშავებს მოწაფეებს) და ხონის სამოქალაქო სასწავლებლებს, დანარჩენს-კი აქვს 90 კვად. საჟენიდგან ცოტა მეტი. ამ სასწავლებლებს სულ დაუხარჯავს 4799 მანეთი, ან საშუალო რიცხვით თითოეულს სასწავლებელს 141 მანეთი და $14\frac{12}{17}$ კაპ. ფულით შემწეობას აძლევდნენ მხოლოდ ოთხ სასწავლებელს.

ოზურგეთის მაზრაში:

არის 19 სასწავლებელი სამეურნეო განყოფილებით, რომლებსაც აქვს 24 დესიატ. და 1654 კვ. საჟ., ამ მიწებიდგან დამუშავებული იყო 10 დეს. 1461 კვ. საჟ. ყველაზედ მეტი მდიდრები იყვნენ მიწებით: ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელი—რვა დესიატ., ციხის სასწავლებელი ძმ. შარაშიძეებისა—5 დეს., ბახვის სასწ.—4500 კვ. საჟ., მიქელგაბრიელის სასწ.—7360 კვ. საჟ., ოზურგეთის საქალებო სასწავლებ.—3960 კვ. საჟენი; ამათ თვით დაარსებიდგან დაუხარჯავთ 13409 მან. და 47 კაპ., აქედგან ოზურ. სამოქალაქო სასწ. დაუხარჯავს 8297 მანეთი., ციხის სასწ. 3300 მან., ბახვისას 1567 მ. 47 კაპ., თითოეულ დანარჩენ 16 სასწავლებელს საშუალო რიცხვით 15 მ. $31\frac{1}{4}$ კაპ.

ლეჩხუმის მაზრაში:

იყო ხუთი სასწავლებელი, რომელსაც ჰქონდა 2 დესიატ. 162 კვ. საჟენი და დაუხარჯავთ სულ 90 მანეთ. 51 კაპ. ან თითოეულზე საშუალო რიცხვით 18 მ. $5\frac{1}{5}$ კ.

რაჭის მაზრაში:

ოთხი სასწავლებელი იყო, რომელსაც ჰქონდა 2 დეს. 1295 კვ. საჟ. და დაუხარჯავთ სულ 310 მან. 80 კაპ. ხოლო ამ ფულებიდგან დახარჯული აქვს—რაჭის (მიხაილოვის) სასწავლებელს 200 მანეთი, პატარა ონისას 110 მან. 80 კაპ., დანარჩენს არ ჰქონია არავითარი საშუალება.

შორაპნის მაზრაში:

12 სასწავლებელი იყო, რომელსაც ჰქონებია 5 დეს. 1924 კვ. საჟ. და დაუხარჯავს სულ დაარსებიდგან სამეურნეო განყოფილებას 8985 მან. 40 კაპ., აქედგან ყვირილის სასწავლებელს დაუხარჯავს განყოფილებისთვის 8880 მანეთი. დანარჩენებს 105 მან. 40 კაპ., ან თითოეულს 9 მან. $58\frac{2}{11}$ კაპ.

სენაკის მაზრაში:

ყოფილა სამეურნეო განყოფილებით 20 სასწავლებელი, რომელსაც ჰქონია 8 დესიატ. და 268 კვ. საჟენი. საშუალებით სარგებლობდნენ:

ფოთის სამოქალაქო სასწავლებელი (2,000 მან. წელიწადში) ახალ-სენაკისა—80 მ., თამაკონისა—150 მ., გეჯეთისა—15 მ., სულ 2245 მ. გარდა ამისა 1900 წლიდგან ქ. ფოთმა დაუნიშნა სამოქალაქო სასწავლებელს კიდევ 1000 მ.

ზუგდიდის მაზრაში:

იყო სამეურნეო განყოფილებით 13 სასწავლებელი, რომელსაც ჰქონდა 9 დესიატინა 1066 კვ. საჟ. და განყოფილებისათვის დაუხარჯავთ სულ 1915 მ. საშუალება ჰქონდათ (წლიურად): ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებელს 1,550 მ. ცოტაოდენი გროშებიც ჰქონიათ: ხუთის, ხორშის, კოკის, ქვალონის და ორგის სასწავლებლებს, დანარჩენი-კი უფულოთ ყოფილა (საშუალება არ აღმოუჩენიათ).

ართვინის ოლქში:

ორს სამეურნეო განყოფილებიან სასწავლებელს ჰქონია 2 დეს. 198 კვ. საჟ. მათ საშუალება აღარა ჰქონიათ.

ბათუმის ოლქში:

სამ სასწავლებელს ჰქონია 2 დესეტ. 1045 კვ. საჟ. მიწა, დაუხარჯავთ სულ 152 მანეთი; აქედგან 107 მანეთი დაუხარჯავს ჩურუქსუს სასწავლებელს, 45 მ. ბათუმის სამოქ. სასწ.

სოხუმის ოლქში:

14 სასწავლებელს ჰქონია 109 დეს. 1,700 კვ. საჟ. მიწა; საშუალებას აძლევდნენ ოჩემჩირის, ალექსანდროვის და ვლადიმირის სასწავლებელს.

აქედგან ჩვენ ვხედავთ, რომ ქუთაისის გუბერნია ღარიბი არ ყოფილა იმ წყაროებით, რომლებიც უნდა ჰფენდეს სოფლებში სამეურნეო სწავლა-განათლებას. კურსისტების გამოანგარიშებით ამ სასწავლებლებს (126-ს) 1885 წლიდგან უნდა დაებრუნებინა სოფლებისთვის 42,000 ახალგაზდა ქალ-ვაჟი, რომლებსაც უნდა წინ წაეწია რაოდენიმე დარგი მეურნეობასა.

თუ რომ რაიმე სიკეთე დაეტყო სოფლებს ამ მხრივ, დაეტყო მხოლოდ მასწავლებლების პირად შრომით და მეცადინეობით და აგრეთვე მცირეოდენად თვით მოწაფეების მეცადინეობით.

უპირველესი მთესველი-კი სამეურნეო სწავლა-განათლებისა უნდა იყოს მოწაფე. ჩვენის მეურნეობის უკიდურესმა მდგომარეობამ კურსისტთა შორის გამოიწვია ხანგრძლივი სჯაბაასი.

ნ. მკურნალი.

(შემდეგი იქნება.)

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

16 ივლისს.

პეტერბურგი. „კანონმდებულებათა კრებულში“ გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული დადგენილებანი მინისტრთა კომიტეტისა, რომლითაც წესდება: 1) 22 ივნისიდგან ვადა უმაღლეს ბრძანებისა 29 ივნისიდგან 1901 წლისა, რომ იმპერიის ზოგიერთ გუბერნიებსა და ადგილებში შემოღებული გაძლიერებული დაცვა 4 სექტემბრიდგან 1901 წლისა განეგრძოს კიდევ ერთის წლით. იმავე ვადის გასვლამდე გაძლიერებული დაცვა გამოცხადებულ იქმნეს კრივოროგის მადნებში, გდანცევის სამადნოში, ხერსონის გუბერნიასა სტანიცა გნილოვსში, რკინეულობის სამადნოში პასტუხოვის დონის სადაშქრო ოლქისა, და ბათუმში. გაძლიერებულ დაცვის წესზედ გამოცხადებულ იქმნენ ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობის დროს, 1-ლ ივლისიდგან 10 სექტემბრამდე, მეზობლად მყოფი მაზრები ნიჟეგოროდისა, ბალახნისა სემეოვისა და გორბატოვისა; 2) 28 ივნისიდგან ნება მიეცეს საშინაო საქმეთა მინისტრს სამი წლის განმავლობამდე განსაკუთრებულ შემთხვევებში ნება დართოს საგუბერნიო ერობათ ისესხონ გუბერნიის თავისუფალ თანხიდგან ფული გასაუმჯობესებლად გლეხების მეურნეობისა.

დღეს კომერციულს სასამართლოში დამტკიცებულ იქმნა ადმინისტრაცია ბელგიის აქციონურ საზოგადოებისა „რუსის პროვიდანსი“. საზოგადო შემოსავალია 22,553, 326 მანეთი, სალიკვიდაციო პასსივი —10.958,125 მანეთი. უმთავრესი კრედიტორია აქციონური საზოგადოება „ბელგიის პროვიდენსი“ 2,500,000 მანეთით.

16 ივლისს პეტერბურგს მოვიდა იაპონიის პრინცი კომატცუ ამაღლით. მიჯნაზე პრინცს მიეგებნენ ფლიგელ-ადიუტანტი თავადი ობოლენსკი და პოდპოლკოვნიკი ადაბაშ. გატჩინაში პრინცს დახვდა იაპონიის ელჩი კურინო. პეტერბურგში პრინცი კომატცუ მიბრძანდა მისთვის ევროპის სასტუმროში მომზადებულს პალატებში.

16 ივლისს იაპონიის მინისტრ-პრეზიდენტად ყოფილმა მატცუკატამ ნახა ფინანსთა მინისტრი.

12 აგვისტოს რუსეთს მობრძანდება ბერძენთა მეფე გიორგი.

16 ივლისს კრასნოე-სელოს გაიმართა დიდი უჯგუსტოეს მთავარ-სარდლის საჩუქრის მისაღებად.

კოვნო. გუშინ შესდგა პირველი საზოგადო კრება კოვნოს სამიწადმოქმედო ერთურთის დამზღვეველ საზოგადოების წევრთა. სხდომის გახსნამდე დაეზღვევინენ უმეტეს მილიონის ჯამისა.

ვარშავა. შესდგა პირველი სხდომა კომიტეტისა სამრეწველო საჭიროებათა გამოსარკვევათ. კომიტეტის წევრთა შორის განაწილდა შრომა პროგრამის შესახებ. გარდა ამისა, დაადგინეს განხილულ იქმნას საგანი სერვიტუტებისას და საწყლე გარდასახადებისა.

რომი. დღეს, 10 საათზე, „დელ-ანჯელოის“ ეკკლესიაში გადახდილ იქმნა წლის წირვა მეფის ოჯახის დაკალებით მეფე ჰუმბერტოს სულის მოსახსენებლად. შემდეგ პანთეონში მეფის, დედოფლის, მინისტრების და სადიპლომატო კორპუსის თანდასწრებით შესრულებულ იქმნა მიცვალებულის სულის მოსახსენებელი ლოცვა.

პარიჟი. ნაციონალისტებმა მოახდინეს ენგიენის ქუჩაზე ერთის სახლის დარბაზში დემონსტრაცია - პროტესტი დათა-აღმზრდელთა გაძევების წინააღმდეგ. პოლიციამ გაჰფანტა თავ-მოყრილი სოციალისტები. დარბაზში წარმოსთქვეს სიტყვები პიუმ, კოპპემ და დეპუტატმა დეროლდმა, რომელნიც სასტიკად ჰკიცხავდნენ მთავრობას და საჭიროთ სთვლიდნენ სარწმუნოების ჯარის დაარსებას, რომლის დანიშნულება საფრანგეთის განახლება უნდა იყოს. „როცა სარწმუნოებას უმართებულოდ ეხებიან, საეროვნო გრძნობა იმღვრევა, შფოთდება. მთავრობა მალე დარწმუნდება, რომ ეს სწორედ ასეა“. კრებამ შეიწყნარა რეზოლიუცია, რომელშიაც გაკიცხულია მთავრობის ღონისძიებანი. რეზოლიუციაში მოწოდებაც არის იაკობისელებურ ჩაგვრის წინააღმდეგ.

პინსკი. აქაური სამეურნეო საზოგადოების განყოფილებას შეუდგა სამეურნეო საჭიროებათა განსაკუთრებულ საბჭოს საგანთა განხილვას.

ბერლინი. სტარიფო კომისიამ გადასწყვიტა დაედოს ბაჟი რკინეულობას, თანხმად კანონ-პროექტის წინააღმდეგ ლიბერალებისა და სოციალისტებისა, რომლებიც თხოულობდნენ ბაჟის დაკლებას, თუ სრულიად გაუქმებას არა. ვაჭრობის მინისტრმა განმარტა, რომ რკინეულობაზე ბაჟის გაუქმება სამოციან წლებში დიდი შეცდომა იყო, რომელმაც დიდად ავნო საქონლო ცხოვრებას. კამათის დროს ძლიერ გაჰკიცხეს სინდიკატები. პოსადოვსკიმ ურჩია სინდიკატებს კეთილგონიერ ზომიერების საზღვარს ნუ გადასცილდებიანო.

პეტერბურგი. 16 მკათათვეს, პეტერბურგიდგან გამოსვლის წინა დღით, აბაშეთის ელჩი აბდულ მათესი მიღებულ იქმნა პეტერგოფში, ალექსანდრიის აგარაკს, ხელმწიფე იმპერატორის მიერ გამოსათხოვარ აუდიენციაზე.

17 ივლისი.

პეტერბურგი. „Русск. Инвал.“-ში გამოცხადებულია, რომ პეტერბურგის და მოსკოვის კადეტის კორპუსებში ეგზამენები იმათთვის, ვისაც ჰსურს მიიღოს შეღავათი სამხედრო ბეგარაში, ან შევიდეს სასწავლებლად სამხედრო სასწავლებელში, წრეულს სექტემბრის პირველ ნახევარში მოხდეს. არზა უნდა შეიტანონ არ უგვიანეს 20-ის აგვისტოსი.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. პირველს გამოცხადებაზე პატა მიესალმა ჩემბერლენს, რომელმაც მოახსენა, რომ ტყვე ბურების დაუყოვნებლივ სამშობლოში დაბრუნებას არა-სასიკეთო შედეგი მოჰყვებაო. თვით მმართველობის შემოღება შეიძლება უფრო ადრე ვინემც ჰგონიათო. ბურებს არა ჰსურთ, რომ მათმა თანამემამულეებმა მიიღონ თანამდებობა, ისინი უპირატესობას აძლევენ ისეთს ინგლისელებს, რომელნიც მათ მოსწონთო. შემოდგომაზედ მთავრობა სესხს მოითხოვს ახალშენთა გასაძლიერებლად.

ბუქარესტი. ნახევრად ოფიციალური გაზეთი „Воинца Національна“ იუწყება, რომ კაბინეტში შემდეგნი პირნი შევლენო: საბჭოს პრეზიდენტად და სამხედრო მინისტრად დაინიშნება სტურძა-ავრელიანი, მიწად-მოქმედებისა—სტატესკო, იუსტიციისა—პალლადი, შინაგან-საქმეთა—სტოიცესკო, საზოგადო მუშაობათა—სპირო, საერო განათლებისა—გარტე; წინანდელი საზოგადო მუშაობათა მინისტრი—გარეშე საქმის მინისტრად; ფინანსთა მინისტრად—კოსტინესკო.

პარიჟი. ლუბემ ხელი მოაწერა ბრძანებასა, რომ დათხოვნილ იქმნას სამსახურიდგან პრეფექტი ტულონისა ადმირალი ბომონი და უფროსი ატლანტიკის დივიზიის ადმირალი სერვო. სერვოს დათხოვნა გამოიწვია იმ სხვა-და-სხვა გარემოებამ, რომელიც მოჰხდა გემებზედ და რომელიც გამოძიებულ უნდა იქმნას. ბომონის დათხოვნის საბაბი-კი ჯერ სავსებით გამორკვეული არ არის. გარნა ყურადღებას აქცევენ ინტერვიუს ბომონთან, რომელიც კრიტიკის თვალით შეეხებია ზღვათა მინისტრს. მაგრამ ამასაც-კი ამბობენ, რომ ინტერვიუ არავის ჰქონია ბომონთანაო.

ლონდონი. მეფემ რამდენიმე საათი გაატარა სასრიალებელს სავარძელში.

პეკინი. ვუჩანის გენერალ-გუბერნატორი იხანში-ტუნი დანიშნულ იქმნა ვაჭრობის მინისტრად.

ლონდონი. მეფის დაგვირგვინების გამო ფლოტი შემოკრბება 8 აგვისტოს სპიტგედთ:

სტამბოლი. ხელ-მოწერილ იქმნა ბრძანება, რომ ხუთის დღის კარანტინი დაწესდეს იმ საქონლისათვის, რომელიც ოდესიდან მოდის და ათის დღის კარანტინი ეგვიპტიდან შემოსატან სავაჭროსათვის.

ხონთქარმა უწყალობა გარეშე საქმეთა მინისტრს ტევფიკ-ფაშას სახლი, რომელშიაც სცხოვრობს მინისტრი, ხოლო დიდს ვეზირს საიდ-ფაშას კარგა დიდი ფული.

ჩერნოგორიის ელჩის ბაკიჩის პროტესტის გამო, პორტა დაჰპირდა ჩერნოგორიის მთავრობას მალე გადაწყვეტავთ სამზღვრის მამულების გამიჯვნის საქმესაო.

რომი. პაპმა დაჰნიშნა პროპაგანდის კოლეგიუმის პრეფექტად კარდინალი გოტტი.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ივლისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,10
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,,	$46,27\frac{1}{2}$
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	$4\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 „
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$94\frac{1}{2}$ „
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$467\frac{3}{4}$ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	354 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	289 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
$4\frac{1}{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	$89\frac{5}{8}$ გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9600 გაყ.
აქციები ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	4200 „
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	346 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	$170\frac{1}{2}$ —

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 23 ივლისისათვის დანიშნულია სამოქალაქო საქმეთა განხილვა.

1. დათა, სანო, ალექსი და ნიკო კოშაძეთა და თ. ნოშან ჯავახოვის დავა 870 მანეთზე.
2. თევდორე კუსაკინისა და არჯევან მოროხაიშვილის საქმე 100 მანეთზედ.
3. ზაქარია და სხვ. მღებრიშვილებისა და თ. ივ. ერისთავის საქმე მამულის მფლობელობის აღსადგენად.
4. სიმონ ჯავახოვისა და დავით ვარსიმოვის საქმე—29 მანეთისა.
5. ანტონ ახაბაძისა და ანტონ იაშვილის დავა 40 მანეთზედ.

ტფილისის სამოსამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 30 ივლისისათვის დანიშნულია სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

1. ბართლომე ქუთათელაძისა და თავ. ივანე წულუკიძის დავა 100 მანეთ ზარალზედ.
2. არონ ჯიჯელხაშვილის და ზაქარია მინდიაშვილის ცხენის შესახებ 23 მანეთზედ.
3. ჩაქტო ანთიასი და კოსტა მესხის დავა 60 მანეთზედ.
4. ბახვა ჯანჯღავასი და პუპი მიქელაძის დავა 75 მანეთზედ.
5. ბახვა ჯანჯღავასი და ალექსანდრე ჩაჩიბაიას დავა თ. პუპი მიქელაძესთან ერთად და სხვ. 69 მან. 11 კაპეიკზედ.
6. ნიკოლოზ ზაალოვისა და მიხეილ ნონიევისა და სხვ. დავა 1063 მანეთზედ.

განცხადება

„GRAND PRIX“
PARIS 1900.
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К-о
„Парфюмерія
Нильская Лилія“

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის თავში ძველ აბანოებთან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი
თბილი გოგირდის აბანო
„ფანტაზია“
თავად სუმბათაშვილებისა, რომელსაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის ს თბ 37$_{50}$ ც. ფასი მცირეა. კონკ ქვე დგება.
იჯარადარი ა. თოიძე (სანდრო).
ტელეფონი № 555 (6.—წლ.)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:
ყოველის მხრიდან
ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლისა
ფასი 10 კ.
და
მოთხრობანი
დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საუმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილისა	„ 30
საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Туманов	„ 60
აბო ტფილელი, ე. კ.	,, 30
Або Тифлисскій, Е. К.	,, 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	,, 60

ფინანსთა სამინისტროს გამგეობაში მყოფი
საბუხგალტერო კურსები
ნ. ვ. აბრაამიანისა,
ავტორისა „სავაჭრო, საქარხნო და სანავთ-მრეწველო ბუხგალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების მიერ ვითარცა ხელშემწყობი წიგნი საკომერციო სასწავლებლებში სასწავლებლად.
ასწავლის და ამზადებს
ორისავე სქესის ახალგაზდებს პრაქტიკის შემწეობით საბუხგალტერო მუშაობისათვის 4 თვეში, თან ბუღდავანობასაც კისრულობს და, როცა საჭიროა, რეკომენდაციასაც გაუწევს.
სწავლების საგნები:
1) ორ-მაგი იტალიური ბუხგალტერია მრეწველობის ყოველ დარგისათვის, დაწმენდილის ნავთის საქარხნო წარმოებისა და ნავთმრეწველობის დარგის გამოუკლებლადაც-კი. 2) საკომერციო არითმეტიკა. 3) საკომერციო მიწერ-მოწერა (კორესპონდენცია). 4) სავექსილო და სავაჭრო მართლიერება. 5) კალიგრაფია და გასწორება სულ ცუდის ხელისაც-კი წერაში.
მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე. სწავლა დაიწყება და იწარმოებს 1902 წლის 15 სექტემბრიდან და ყოველ 4 თვეს შემდეგ კვლავ განახლდება, ყოველდღე, ნასადილევს. ფასი 60 მან. მთლად კურსისათვის. კურსის გათავებისას მოსწავლეს ეძლევა დაწესებული მოწმობა, ნება-დართული წესდებისამებრ ფინანსთა სამინისტროს მიერ. მსურველთ ვსთხოვ მიჰმართონ წერილით ანუ პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში, ნიკოლოზის ქუჩა, № 46. პროგრამა უსასყიდლოდ გაეგზავნებათ. ზემოხსენებული სახელმძღვანელო ისყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის. თითო ეგზემპლიარის ფასია 3 მან. 50 კაპ. (25—379—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 іюля 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.